

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის
სატენდერო კომისიის
სხდომის ოქმი №1

2020 წლის 1 ოქტომბერი
ქ. დედოფლისწყარო

თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე, დედოფლისწყაროს
მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

დ. ფხოველიშვილი

ესწრებოდნენ

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -
ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა
და არქიტექტურის სამსახურის უფროსი

პ. თავაძე

სატენდერო კომისიის წევრები:

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -
იურიდიული სამსახურის უფროსი

გ. გონაშვილი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -
ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის
განყოფილების უფროსი

ა. თეთრაული

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-
სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი

ი. ზურიკაშვილი

არ ესწრებოდა

სატენდერო კომისიის წევრი
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ე. ბაიაშვილი

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -
ქონების მართვის განყოფილების უფროსი

თ. ოზბეთელაშვილი

დღის წესრიგი:

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს, სოფელ მირზაანის, სოფელ ოზაანის, სოფელ გამარჯვების საბავშვო ბაღების სველი წერტილების, პროდუქტების შესანახი ოთახების, სამზარეულოების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე სატენდერო კომისიის აპარატის მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება და ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) გამოცხადება.

/მომხს. დ. ფხოველიშვილი/

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დ. ფხოველიშვილმა წარმოადგინა სატენდერო კომისიის აპარატის მიერ შემუშავებული სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც შეეხება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს, სოფელ მირზაანის, სოფელ ოზაანის, სოფელ გამარჯვების საბავშვო ბაღების სველი წერტილების, პროდუქტების შესანახი ოთახების, სამზარეულოების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას.

სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს, სოფელ მირზაანის, სოფელ ოზაანის, სოფელ გამარჯვების საბავშვო ბაღების სველი წერტილების, პროდუქტების შესანახი ოთახების, სამზარეულოების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე სატენდერო კომისიის აპარატის მიერ შემუშავებული სატენდერო დოკუმენტაცია და აღნიშნეს, რომ სატენდერო დოკუმენტაცია სრულყოფილია.

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12¹ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს, სოფელ მირზაანის, სოფელ ოზაანის, სოფელ გამარჯვების საბავშვო ბაღების სველი წერტილების, პროდუქტების შესანახი ოთახების, სამზარეულოების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე სატენდერო კომისიის აპარატის მიერ შემუშავებული სატენდერო დოკუმენტაცია.

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) გამოცხადება 47016 (ორმოცდაშვიდიათასთექვსმეტი) ლარზე (დღგ-ის გათვალისწინებით) სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

დავით ფხოველიშვილი

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის
მოადგილე

პავლე თავაძე

სატენდერო კომისიის წევრები:

გიორგი გონაშვილი

ავთანდილ თეთრაული

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

ილია ჯურიკაშვილი